საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-08/5136
20/10/2026

5136-08-2-202610201509

შპს „დიო 088“-ს დირექტორს
ბატონ კახა ნუმანიშვილს

ქ.ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქN51
ტელ:595333914

ბატონო კახა,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 9 ივლისის N167/04 ბრძანებით დამტკიცებული „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პუნქტმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს ანგარიშგება, საქართველოს ეროვნული ბანკის NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის საშუალებით, საანგარიშგებო თვის დამთავრებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, ,,NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 აპრილის N69/04 ბრძანებით განსაზღვრული წესით, რაც თქვენ მიერ არ შესრულებულა.

გევალებათ, წერილის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოთ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მ/წლის სექტემბრის თვის ანგარიშგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული უფლებამოსილია გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი საზედამხედველო ღონისძიებები, მათ შორის ფულადი ჯარიმის დაკისრება.

პატივისცემით,

ნინო ჯელაძე

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი